ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ. ჩოხატაური წერეთლის ქ. №2 ☎ 790 20-33-05

24 სექტემბერი 2014 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა №89

ჩოხატაურის მუნიციპაიტეტის კულტურის ცენტრის მიერ გაწეული

საქმიანობისა და გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

საკრებულო ადგენს:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, შესაბამისი სამსახურების მეშვეობით შეისწავლოს კულტურის ცენტრში არსებული პრობლემები და მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის პროექტში,შესაძლებლობის ფარგლებში გაითვალისწინოს მისი გადაჭრისათვის საჭირო ღონისძიებანი.

2. 2015 წლის ბიუჯეტით სოფლებში: გოგლესუბანი, ფარცხმა, ხევი, ბუკისციხე, ერკეთი, გუთური, სადაც შეკეთდა კულტურის სახლების დარბაზები და ასევე სხვა სოფლებშიც გათვალისწინებული იქნას კლუბის გამგის საშტატო ერთეულები.

3. მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას თანხები ტურიზმის განვითარებისთვის.

4. შეიმაუშაოს და საკრებულოს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად წარმოადგინოს მუნიციპალიტეტის კულტურის სფეროს განვითარების პროგრამა.

5. დადგეს საკითხი, რათა კულტურის ცენტრს დაუბრუნდეს მუნიციპალიტეტის კუთვნილი ავტობუსი, რომელიც დროებით სარგებლობაში გადაცემული აქვს სამრევლო სკოლას.

6. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4

7. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ზაალ მამალაძე

დანართი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის
მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ

ა.(ა)ი.პ მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი შეიქმნა 2007 წლის მაისში და მის მიზნებს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კულტურულ-საგანმანათლებლო,შემეცნებითი მოღვაწეობის,ხალხური მთქმელების,ნიჭიერი ინდივიდუალური შემსრულებლის და შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობის ხელშეწყობა.

ცენტრი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის ,"ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის,საქართველოს კანონდებლობისა და კულტურის ცენტრის წესდების საფუძველზე.

კულტურის ცენტრში ფუნქციონირებს შემდეგი ანსაბლები:

- ფოლკლორული ანსაბლები "გურია", "ამაღლება", "დაბლაციხე".
- ქალთა ფოლკლორული ანსაბლი: "მანდილი".
- ხალხურ საკრავთა ანსაბლი: "ნართი".
- ვაჟთა "ვოკალური ტრიო".
- საესტრადო ჯგუფი: "ჯინსების თაობა".
- ეთნო ჯაზ-ბენდი: "გურული ბიჭები".
- ქორეოგრაფიული ანსაბლები: "ფერხული", "ილეკრო".
- ბავშვთა როკ-ჯგუფი: " GURIAN NISE KIDS"

ფუნქციონირებს სახალხო თეატრი.

ანსაბლები მუშაობენ რეგულარულად,აქვთ მუშაობის გრაფიკი,მუშაობენ როგორც ძველ.ისე ახალ რეპერტუარზე,მონაწილეობენ სხვადასხვა ფესტივალებში.

- 2014 წლის 17 იანვარს,კინოთეატრ "გურია"-ში კულტურის ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა ღონისძიება "წლის ნომინაციები".გამოვლენილ იქნა სხვადასხვა სფეროს წლის საუკეთესო ნომინანტები,რომლებიც დაჯილდოვდნენ სიგელებით და ფასიანი ქაღალდებით.
- 3 მარტს,კინოთეატრ "გურია"-ში დედის დღესთან დაკავშირებით გაიმართა კონცერტი თეიმურაზ წიკლაურთან ერთად.
- 20 მარტს,კინოთეატრ "გურია"-ში მოეწყო შეხვედრა საქართველოს სახალხო არტისტ ლეო ანთაძესთან.
- 29 აპრილს,კინოთეატრ "გურია"-ში ჩატარდა ხსოვნის საღამო "მათი გზა ტაძართან მიდის",პარალელურად კინოთეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარდა ტრადიციული პასკის ფესტივალი,რომელშიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა ორგანიზაციები და საჯარო

სკოლები.ჟიურის მიერ გამოვლენილი იქნა გამარჯვებულები,რომლებიც დაჯილდოვდნენ სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით.

- 9 მაისს,საბიბლიოთეკო გაერთიანების დარბაზში კულტურის ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა ფაშიზმზე გამარჯვების 69-ე წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

- 19 მაისს დაიწყო საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების კვირეული,რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ კულტურის ცენტრის ანსაბლები.

- 25 მაისს კინოთეატრ "გურია"-ში მოეწყო ბავშვთ როკ-ჯგუფ "GURIAN NISE KIDS" პრეზენტაცია და ასევე ეთნო ჯაზ-ბენდ "გურული ბიჭების" საიუბლეო საღამო.

- 26 მაისს, დასრულდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კვირეული და ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიოზე გაიმართა სპორტული ღონისძიებები, რომელიც დაასრულა კულტურის ცენტრის ფოლკლორულმა ანსაბლმა.

- 12 ივლისს, ქალაქ ქუთაისში არტ-გენის ფესტივალზე მიწვეული იყვნენ ანსაბლები: ხალხურ საკრავთა ანსაბლი "ნართი", ფოლკლორული ანსაბლი "დაბლაციხე" და ქალთა ფოლკლორული ანსაბლი "მანდილი".

- 17 ივლისს, კინოთეატრ "გურია"-ში ბავშვა როკ-ჯგუფ "GURIAN NISE KIDS" და ეთნო ჯაზ-ბენდ "გურული ბიჭების" მონაწილეობით გაიმართა საქველმოქმედო აქცია-კონცერტი "დავდგეთ ერთად სიცოცხლის გადასარჩენად!"
- 22 ივლისს, ქალაქ თბილისში ფესტივალ არტ-გენის დასკვნით კონცერტზე მონაწილეობდნენ ხალხურ საკრავთა ანსაბლი "ნართი",ქალთა ფოლკლორული ანსაბლი "მანდილი",ეთნო ჯაზ-ბენდი "გურული ბიჭები".
- 26 ივლისს, კულტურის ცენტრში სტუმრად იმყოფებოდა შვეიცარიიდან ანნა ჰელვიგერი, ავტორი პროექტისა "მუსიკა მოგზაურობს". პროექტი გახლავთ საგანმანათლებლო, რომელიც ასახავს მუსიკალურ მემკვიდრეობას, ეთნიკურ ურთიერთობებს და ქმნის ფოლკლორული მუსიკის წარსულს. ჩაწერილი იქნა ოთხი ანსაბლი : "გურია","ამაღლება","მანდილი","ნართი" და მათი ხელმძღვანელები. პროექტი ითვალისწინებს არა სრულმეტრაჟიანი ფილმის შექმნას გურულ ფოლკლორზე და ასევე დისკების ჩაწერას,რომელიც გადმოეცემა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობას საჩუქრად.

- 27 ივლისი, ანსაბლი "ამაღლება" სტუმრად ეწვია ლოტბარ ოთარ ბერძენიშვილს,ლოტბართან ერთად მოხდა ერთობლივი სიმღერების ჩაწერა.

- 3 აგვისტოს,კურორტ ბახმაროში სტუმრად იმყოფებოდა შვეიცარიის ელჩი,რომელსაც თან ახლდა შვეიცარიული ერთ-ერთი ფოლკლორული ანსაბლი.აქ მასპინძლობა გაუწია ანსაბლმა "ამაღლება"-მ.
- 19 აგვისტოს,კურორტ ბახმაროში მოეწყო ფერისცვალების დღესასწაული,ღონისძიებაში მონაწილეობდნენ კულტურის ცენტრთან არსებული ფოლკლორული ანსაბლები და მოწვეული მომღერლები შალვა შალვაშვილი და ბაი დელ როუსი,წარმოდგენილი იყო რეწვის ნიმუშები,მიმდინარეობდა ჩურჩხელების ამოვლება.

ამჟამად,კულტურის ცენტრთან არსებული თეატრი მუშაობს სპექტაკლზე "გამოდი სულო სინათლეზე" ანუ "ჭკვიანი გიჟები",რომელიც ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებების მიხედვითაა შექმნილი.

კულტურის ცენტრს თითქმის ყოველწლიურად აქვს ფინანსური პრობლემები. რის გამოც წლის განმალობაში რამდენჯერმე უწევს ბიჯეტის კვარტლური გეგმის დამტკიცებულ გეგმაში ცვლილებები. იგი გამოწვეულია ძირითადში, წლის განმავლობაში დაგეგმილი ღონისძიებების გარდა დაუგეგმავი ღონისძიებების ჩატარებით. დაუგეგმავ ღონისძიებებზე დამატებთი სუფსიდირება არ ხდება,ხდება მხოლოდ წლის ბოლოს,თუ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლები გაჩნდება. ამიტომ საჭიროა წლის დასაწყისში ,როდესაც ცენტრის მიერ ჩასატარებელ ღონისძიებათა ხარჯთაღრიცხვა გაკეთდება,გაუთვალისწინებელ ღონისძიებებისათვის ჩაისვას სარეზერვო თანხა. მ/წ ბოლომდე კულტურის ცენტრს ესაჭიროება დამატებითი დაფინანსება 27 500 ლარის იდენობით,რაც გამოწველია იმით,რომ კლტურის ცენტრს 2014 წელს დაგეგმილი ღონისძიებებისათვის ესაჭიროებოდა 30 000 ლარი და ეს თანხა ბიუჯეში ვერ გამოიძებნა,ასევე ცენტრმა მოახდინა თანამშრომელთა ხელფასების მომატება,რაც როგორც ცენტრის ხელმძღვანელობა აცხადებს გამგებელთან და საფინანსო სამსახურებთან შეთანხმებით მოხდა,მაგრამ ჯერჯერობით მომატებული ხელფასებისათვის სუბსიდია არ მიუღია. ამჟამად თანხის გაცემა ხდება სხვა კვარტლებზე განაწილებული დაფინანსების ხარჯზე.რაც წლის ბოლოს შესაბამისად გამოიწვევს ცენტრისთვის დამატებითი დაფინანსების გამოყოფას.თუ რამდენად სწორად ხდება ეს პროცესი ალბათ შიდა აუდიტორული შემოწმება გამოარკვევს და არა მარტო კულტურის ცენტრში,არამედ ყველა ა. ი.პ-ში სადაც ანალოგიური მდგომარეობაა.

კულტურის ცენტრი ეწევა ასევე სამეწარმეო საქმიანობას,რომელიც კანონმდებლობით დაშვებულია,კერძოდ კულტურის ცენტრთან,სამეურნეო ანგარიშზე შექმნილია ბავშვთა საესტრადო ანსაბლი,როკ-გუფი "GURIAN NISE KIDS",დაფინანსება ხდება მშობელთა შენატანებით.

ცენტრი,როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი,დაფუძნებელია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.დებულებით ცენტრის საფინანსო საქმიანობას ამოწმებს ცენტრის მიერ მოწვეული აუდიტი,რომელიც აკეთებს შესბამის დასკვნას. 2 წლის განმავლობაში აუდიტორული შემოწმება არ ჩატარებულა. მართალია შიდა აუდიტის სამსახურს,დებულებით განსაზღვრული აქვს ა.ი.პ შემოწმება,მაგრამ მას დასკვნის გაკეთება არ შეუძლია.ეს უნდა გააკეთოს მოწვეულმა,სერთიფიცირებულმა აუდიტმა ან აუდიტორულმა ფირმამ,რომელმაც უნდა შეაფასოს

ცენტრის მიერ გაწეული საფინანსო საქმიანობა,არის თუ არა უზუსტობები აღნიშნული სუბიექტის ფინანსურ საქმიანობაში.(სახელმწიფო ბიუჯეტთან ურთიერთობები აქვს თუ არა კანონით გათვალისწინებულ დონეზე,ხომ არ ააქვს ადგილი საგადასახადო დავალიანებას და ა.შ.)

კულტურის ცენტრს ყავს ანსაბლები,რომელთა ძალებით შესაძლებელია მუნიციპალიტეტის სოფლებში ჩაატარონ კონცერტები,მაგრამ ფინანსებისა და სატრანსპორტო საშუალებეის არ ქონის გამო კულტურის ცენტრი ასეთი ღონისძიებების ჩატარებას ვერ ახერხებს.

ცენტრს გააჩნდა ტრანსპორტი – ავტობუსი,მაგრამ იგი დროებით სარგებლობაში გადაცემული აქვს სამრევლო სკოლას და მის ამჟამინდელ ადგილსამყოფელის შესახებ ცენტრს ინფორმაცია არ აქვს. (არადა ცენტრი,ტრანსპორტის დაქირავებაში,სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად სოლიდურ თანხებს ხარჯავს.)

მუნიციპალიტეტის 20 სოფელში არ არის კულტურის მუშაკის შტატი, ამიტომ კულტურული ღონისძიებები არ ტარდება.

როგორც ზემოთ აღინიშნა,ბავშვთა როკ-ჯგუფი არსებობს სამეურნეო ანგარიშზე,მაშინ როცა არცერთი ანსაბლი სამეურნეო ანგარიშზე არ არის,მიგვაჩნია რომ მისი დაფინანსება უნდა მოხდეს ბიუჯეტიდან.უჭირს თეატრსაც,არის იმის რესურსი რომ,წელიწადში მინიმუმ 2 სპექტაკლი იყოს ნაჩვენები,მაგრამ ცენტრს არ გააჩნია დეკორაციის შეძენის,მსახიობების ხელშეკრულებით აყვანისა და მონაწილეთა წახალისების თანხები.

ვოკალური საკრავის ანსაბლებისათვის აუცილებელია ინსტრუმენტების შეძენა,სალოტბარო სტუდიას მეცადინეობა უწევს გაურემონტებელ ოთახებში,რომელიც ასევე საჭიროებს კოსმეტიკრ შეკეთებას.

კულტურის ცენტრს ჰყავს მაღალპროფესიული ხალხური ანსაბლები.საესტრადო კოლექტივი,რომელთაც შეუძლიათ ფასიანი კონცერტების ჩატარება ჩოხატაურის რაიონში,კურორტ ბახმაროში,მეზობელ მუნიციპალიტეტებში,თუმცა ამ კუთხით არაფერი კეთდება.

დაუფინანსებლობის გამო არაფერი კეთდება ტურიზმის განვითარების კუთხით,მართლია წინა წლის ბიუჯეტში ამ კუთხით კულტურის ცენტრს გამოეყო 4 000 ლარი,მაგრამ ყოფილმა ხელმძღვანელობამ იგი მოიხმარა სხვა მიზნით და ტურიზმის კუთხით არაფერი გაკეთებულა.რაიონში არ არსებობს ტურიზმის ცენტრი,არ არის შემუშავებული მარშრუტები,არ ექცეოდა ყურადღება ტურისტული ობიექტების განვითარებას,ერთადერთი ორგანიზაცია,რომელმაც ამ კუთხით უნდა იმუშაოს,კულტურის ცენტრია.მაგრამ დაუფინანსებლობის გამო იგი ამას ვერ ახერხებს.

არ არის შედგენილი მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების პროგრამა,რომელშიც გაწერილი იქნებოდა კულტურის სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრის გზები წლების მიხედვით.